ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, ხელშეკრულების 15.4.2[1] პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15.4.2[1] იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ბანკის მიმართ უფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკრედიტო ან/და არა-საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, ბანკი უფლებამოსილია და კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი დაუკავშირდება შესაბამისი, მოქმედი/აქტიური პროდუქტის მიღების მიზნით წარდგენილ განაცხად(ებ)ში კლიენტის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირს ან/და კლიენტთან დაკავშირებულ მესამე პირს, კლიენტის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიღების/დამუშავების ან კლიენტთან დაკავშირების მიზნით. ამ პუნქტის მიზნებისთვის, კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს შესაბამისი თანხმობები წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საკონტაქტო ან/და კლიენტთან დაკავშირებული მესამე პირისგან.''

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 მარტიდან.